# ხელშეკრულება

საქართველოს მთავრობასა

და

შპს ,,იუნაითიდ ფაუერ ენერჯის''

შორის

29 დეკემბერი 2022 წელი

თბილისი, საქართველო

წარმოდგენილი ხელშეკრულება **ელექტროსადგურის** მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის, **ელექტროსადგურის** მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ (შემდგომში - „**ხელშეკრულება**") დადებულია შემდეგ **მხარეებს** შორის:

**საქართველოს მთავრობა** (შემდგომში - „**მთავრობა**"), წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, ლევან დავითაშვილის მიერ

და

**შპს ,,იუნაითიდ ფაუერ ენერჯი''** (ს/კ:405562797; შემდგომში - „**კომპანია**") წარმოდგენილი მისი დირექტორის, ნანა ყეინიშვილის მიერ,

**განმარტებები**

1. წინამდებარე **ხელშეკრულებაში** გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

    1.1. **„აუდიტორული დასკვნა"** ნიშნავს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მომზადებულ აუდიტორულ დასკვნას, რომლითაც დასტურდება კომპანიის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულება;
    1.2. **„დღე/დღეები"** ნიშნავს კალენდარულ დღეს/დღეებს;
    1.3. **„ელექტროსადგური"** ნიშნავს ჰიდროელექტროსადგურს, რომელიც განმარტებულია **ხელშეკრულების** დანართი N1-ით;
    1.4. **„ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრები"** ნიშნავს **ელექტროსადგურის** ადგილმდებარეობას, მდინარის ნიშნულებს, დადგმულ სიმძლავრესა და წლიურ გამომუშავებას, როგორც მოცემულია **ხელშეკრულების** დანართი N1-ში;
    1.5. **„მხარე/მხარეები"** ნიშნავს **მთავრობას** და **კომპანიას** ცალ-ცალკე/ერთობლივად;
    1.6. **„პროექტი"** ნიშნავს **ელექტროსადგურის** მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლას, შემდგომში მის მშენებლობას, ფლობასა და ოპერირებას;
    1.7. **„სამინისტრო"** ნიშნავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს;
    1.8. **„სამშენებლო გარანტია"** ნიშნავს **სამშენებლო ფაზის** ფარგლებში, **კომპანიის** მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, **კომპანიის** მიერ **მთავრობის** სასარგებლოდ წარდგენილ საბანკო გარანტიას;
    1.9. **„სამშენებლო ფაზა"** ნიშნავს დროის პერიოდს **სამშენებლო ფაზის დაწყების შესახებ შეთანხმების** გაფორმებიდან **ელექტროსადგურის** ექსპლუატაციაში ფაქტობრივი მიღების დღის ჩათვლით, მაგრამ არაუგვიანეს **ხელშეკრულების** დანართი N3-ით განსაზღვრული ექსპლუატაციაში მიღების ვადისა;
    1.10. **„სახელმწიფო"** ნიშნავს საქართველოს;
    1.11. **„ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შესახებ ანგარიში"** ნიშნავს ამ **ხელშეკრულების** ფარგლებში **ელექტროსადგურის** მშენებლობის განხორციელებადობის ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების კვლევის შესახებ **კომპანიის** მიერ მომზადებულ და **სამინისტროსთვის** წარდგენილ ანგარიშს, რომელიც ადასტურებს, რომ **პროექტი**

განხორციელებადია ტექნიკური და ფინანსურ-ეკონომიკური თვალსაზრისით და სხვა დაკავშირებულ დოკუმენტაციას;

1.12. „**წინასამშენებლო გარანტია**“ ნიშნავს **წინასამშენებლო ფაზის** ფარგლებში **კომპანიის** მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით **მთავრობის** სასარგებლოდ წარდგენილ საბანკო გარანტიას;

1.13. „**წინასამშენებლო ფაზა**“ ნიშნავს დროის პერიოდს **ხელშეკრულების** ძალაში შესვლიდან **სამშენებლო ფაზის** დაწყებამდე, მაგრამ არაუმეტეს **სამშენებლო ფაზის დაწყების შესახებ შეთანხმების** ხელმოწერისთვის **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ვადისა;

1.14. **სამშენებლო ფაზის დაწყების შესახებ შეთანხმება** ნიშნავს ხელშეკრულების დანართი N4-ით განსაზღვრულ დოკუმენტს.

**მიზანი**

2. **ხელშეკრულების** მიზანს წარმოადგენს **კომპანიის** მიერ **პროექტის** განხორციელება საქართველოს კანონმდებლობისა და ამ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

**წინასამშენებლო ფაზა**

3. **კომპანია** ვალდებულია წინამდებარე **ხელშეკრულების** დანართი N1 და დანართი N2-ში განსაზღვრული ვადებისა და პირობების შესაბამისად:
   3.1. განსაზღვროს **პროექტისათვის** საჭირო ან/და მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთები და მათი ადგილმდებარეობა;
   3.2. ჩაატაროს და დაასრულოს სრული **ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა ხელშეკრულების** დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადებში (**ხელშეკრულებით** განსაზღვრული **ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების** ფარგლებში) და წარუდგინოს შესაბამისი ანგარიში **სამინისტროს**;
   3.3. განახორციელოს გარემოზე ზემოქმედების შეფასება, ჩაატაროს შესაბამისი საჯარო განხილვები და შესაბამისი ანგარიში/შედეგები წარუდგინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სამინისტროს;
   3.4. **სამინისტროს** წარუდგინოს წინადადება **ელექტროსადგურის** მშენებლობის თაობაზე **ხელშეკრულებით** განსაზღვრული **ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების** ფარგლებში.
4. იმ შემთხვევაში, თუ **კომპანია ხელშეკრულების** 3.1. და 3.2 პუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შედეგად გადაწყვეტს **ელექტროსადგურის** მშენებლობას, მან **სამინისტროს** უნდა წარუდგინოს წინადადება **ხელშეკრულების** დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადაში, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგს:
   4.1. **კომპანიის** გადაწყვეტილებას შესაბამისი **ელექტროსადგურის** მშენებლობის თაობაზე;
   4.2. სრულ, ზუსტ **ტექნიკურ პარამეტრებს**, **ელექტროსადგურის** დადგმული სიმძლავრისა და საპროგნოზო წლიური გამომუშავების ჩათვლით;
   4.3. **ელექტროსადგურის** განლაგების ზუსტ კოორდინატებსა და მდინარის ნიშნულებს;
   4.4. **პროექტის** განხორციელებისათვის საჭირო ინვესტიციის სავარაუდო ოდენობას;
   4.5. სრულ **ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შესახებ ანგარიშს,** მათ შორის, პროექტის განხორციელების თაობაზე ფინანსურ მოდელს;

4.6. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშსა და საჯარო განხილვების შედეგებს.

5. თუ **ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შესახებ ანგარიშის** ან/და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის/საჯარო განხილვების შედეგების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე აღმოჩნდება, რომ **ელექტროსადგურის** მშენებლობა და ოპერირება **კომპანიისათვის** ტექნიკურად ან/და ეკონომიკურად არ არის მიზანშეწონილი, **კომპანია** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, მიიღოს გადაწყვეტილება **პროექტის** განხორციელებაზე უარის თქმის თაობაზე, რა შემთხვევაშიც **კომპანიამ** შესაბამისი შეტყობინება უნდა გაუგზავნოს **სამინისტროს** მისთვის **ხელშეკრულების** მე-4 მუხლით გათვალისწინებული წინადადების წარდგენამდე. ასეთ შემთხვევაში, **სამინისტრო** უზრუნველყოფს **წინასამშენებლო გარანტიის** (გარანტიის დაბრუნების მომენტისთვის არსებული ოდენობით) **კომპანიისთვის** დაბრუნებას.

6. **კომპანიის** მიერ **ხელშეკრულების** მე-4 მუხლის შესაბამისად წინადადების წარდგენიდან 5 (ხუთი) თვის ვადაში **სამინისტრო** და **კომპანია** ერთობლივად განიხილავენ **ელექტროსადგურის** მშენებლობის მიზანშეწონილობის საკითხს, რაზეც შეთანხმების შემთხვევაში, საკითხი საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარედგინება **მთავრობას**, ხოლო **ელექტროსადგურის** მშენებლობის მიზანშეწონილობისა და **სამშენებლო ფაზის დაწყების შესახებ შეთანხმების** ხელმოწერის თაობაზე **მთავრობის** დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მხარეები ხელს მოაწერენ **სამშენებლო ფაზის დაწყების შესახებ შეთანხმებას**. **მთავრობის** აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს **კომპანიის** მიერ წარდგენილ წინადადებას და **ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის,** გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს/საჯარო განხილვების შედეგებს.

7. **წინასამშენებლო გარანტია**

7.1. **წინასამშენებლო ფაზის** ფარგლებში **კომპანიის** ვალდებულებების, მათ შორის, ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის ანგარიშის წარმოდგენის, ასევე სამშენებლო გარანტიის წარმოდგენის ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით, არაუგვიანეს ამ **ხელშეკრულების** დადების დღიდან 30 (ოცდაათი) **დღის** ვადაში, მთავრობის სასარგებლოდ სამინისტროს წარუდგინოს **წინასამშენებლო გარანტია** ასაშენებელი ელექტროსადგურის ჯამური დადგმული სიმძლავრის მიხედვით, ყოველი მეგავატისათვის 5,000.00 (ხუთი ათასი) აშშ დოლარის ან მისი ეკვივალენტის ევროში ოდენობით (წინასამშენებლო გარანტიის წარდგენის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად). წინასამშენებლო გარანტიის მოქმედების ვადა **სამშენებლო ფაზის დაწყების შესახებ შეთანხმების** დადების ბოლო ვადას უნდა აღემატებოდეს 5 (ხუთი) თვით. წინასამშენებლო გარანტია გაცემული უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ ლიცენზირებული ბანკის ან/და „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის" („OECD") წევრი ქვეყნის ბანკის მიერ. წინასამშენებლო გარანტიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გარანტიის გამცემი ბანკის სააქციო კაპიტალის 15%-ს.

7.2. **კომპანიის** მიერ **ხელშეკრულებით** დადგენილ ვადებში და პირობებით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა (გარდა ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებისა) გამოიწვევს **კომპანიისთვის** პირგასამტეხლოს დაკისრებას **წინასამშენებლო გარანტიის** მთლიანი თანხის 0.5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ **დღეზე**. **სამინისტრო** უფლებამოსილია წერილობით გააფრთხილოს **კომპანია**, რომელშიც განუსაზღვრავს

დარღვევის გამოსწორების ვადას და პირგასამტეხლოს ოდენობას. **კომპანია** ვალდებულია დაკისრებული პირგასამტეხლო გადაიხადოს **სამინისტროს** შესაბამისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) **დღის** ვადაში.

7.3. **მთავრობა** უფლებამოსილია **წინასამშენებლო გარანტიით** გათვალისწინებული თანხა გამოითხოვოს სრულად ან ნაწილობრივ და აცნობოს **კომპანიას** ამის თაობაზე, შემდეგ შემთხვევებში, თუ:

ა) **კომპანიამ** შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში **ხელშეკრულების** 7.2 პუნქტით დადგენილ ვადაში არ გადაიხადა იმავე პუნქტის შესაბამისად დაკისრებული პირგასამტეხლო - გადაუხდელი პირგასამტეხლოს ოდენობით;

ბ) **მთავრობა** 12.1 ან/და 12.2 პუნქტების შესაბამისად წყვეტს **ხელშეკრულებას** - არსებული **წინასამშენებლო გარანტიის** სრული ოდენობით.

7.4. **ხელშეკრულების** 7.3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, **კომპანია** ვალდებულია 30 **დღის** ვადაში შეავსოს **წინასამშენელო გარანტია** გარანტია 7.1 პუნქტით დადგენილ ოდენობამდე.

## სამშენებლო ფაზა

8. **კომპანია სამშენებლო ფაზის** განმავლობაში ვალდებულია:

8.1. მოიპოვოს **პროექტის** განხორციელებისათვის საჭირო ან/და **პროექტის** არეალში მოქცეულ მიწებზე შესაბამისი უფლებები;

8.2. **ხელშეკრულების** დანართი N3-ით განსაზღვრულ ვადაში, მოიპოვოს მშენებლობის ნებართვა და მის საფუძველზე დაიწყოს **ელექტროსადგურის** მშენებლობა;

8.3. ააშენოს **ელექტროსადგური ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების** ფარგლებში, უზრუნველყოს მისი შესაბამის ქსელთან მიერთება და ექსპლუატაციაში მიღება **ხელშეკრულების** დანართი N3-ით განსაზღვრულ ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

8.4. უზრუნველყოს **პროექტის** ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო ფულადი სახსრების მოზიდვა;

8.5. საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს საქართველოს **მთავრობის**, **სამინისტროს**, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან/და სხვა ნებისმიერი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს სრული და თავისუფალი წვდომა **ელექტროსადგურის** სამშენებლო პროცესის მონიტორინგის მიზნით;

8.6. უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს სამშენებლო მასალების ხარისხისა და უსაფრთხოების მონიტორინგი.

9. **სამშენებლო გარანტია**

9.1. **ხელშეკრულების** დანართი N3-ით განსაზღვრული **ელექტროსადგურის** მშენებლობის ნებართვის საფუძველზე **ელექტროსადგურის** მშენებლობის დაწყების და ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად, **სამშენებლო ფაზის დაწყების შესახებ შეთანხმების** ხელმოწერის დღეს **კომპანია** ვალდებულია **მთავრობის** სასარგებლოდ წარმოადგინოს **სამშენებლო გარანტია ელექტროსადგურის** დადგმული სიმძლავრის მიხედვით, ყოველი მეგავატისათვის 10,000.00 (ათი ათასი) აშშ დოლარის ან მისი ეკვივალენტის ევროში (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ **სამშენებლო გარანტიის** წარდგენის მომენტისათვის დადგენილი კურსის შესაბამისად) ოდენობით, რომლის

მოქმედების ვადა 5 (ხუთი) თვით უნდა აღემატებოდეს **ხელშეკრულების** დანართი N3-ით განსაზღვრული **ელექტროსადგურის** ექსპლუატაციაში მიღების თარიღს. **კომპანიის** მიერ წარმოდგენილი **სამშენებლო გარანტია** უნდა იყოს გაცემული **სახელმწიფოს** მიერ ლიცენზირებული ბანკის ან „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის" („OECD") წევრი ქვეყნის ბანკის მიერ. **სამშენებლო გარანტიის** ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გარანტიის გამცემი ბანკის სააქციო კაპიტალის 15%-ს.

9.2. **კომპანიის** მიერ **ხელშეკრულებით** დადგენილ ვადებში და პირობებით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს **კომპანიისთვის** პირგასამტეხლოს დაკისრებას **სამშენებლო გარანტიის** მთლიანი თანხის 0.5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ **დღეზე**. **სამინისტრო** უფლებამოსილია წერილობით გააფრთხილოს **კომპანია**, რომელშიც განუსაზღვრავს დარღვევის გამოსწორების ვადას და პირგასამტეხლოს ოდენობას. **კომპანია** ვალდებულია დაკისრებული პირგასამტეხლო გადაიხადოს **სამინისტროს** შესაბამისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) **დღის** ვადაში.

9.3. **მთავრობა** უფლებამოსილია **სამშენებლო გარანტიით** გათვალისწინებული თანხა გამოითხოვოს სრულად ან ნაწილობრივ შემდეგ შემთხვევებში:

ა) **კომპანიამ** შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში **ხელშეკრულების** 9.2 პუნქტით დადგენილ ვადაში არ გადაიხადა იმავე პუნქტის შესაბამისად დაკისრებული პირგასამტეხლო - გადაუხდელი პირგასამტეხლოს ოდენობით;

ბ) **მთავრობა** 12.1, 12.3, 12.7 ან/და 12.8 პუნქტების შესაბამისად წყვეტს **ხელშეკრულებას** - არსებული **სამშენებლო გარანტიის** სრული ოდენობით.

9.4. **ხელშეკრულების** 9.3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, **კომპანია** ვალდებულია 30 **დღის** ვადაში შეავსოს **სამშენებლო გარანტია** 9.1 პუნქტით დადგენილ ოდენობამდე.

## მხარეთა ვალდებულებები

10. **პროექტის** განხორციელების მიზნით, წინამდებარე **ხელშეკრულებისა** და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, **კომპანია,** ამ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულებასთან ერთად, ვალდებულია:

10.1. უზრუნველყოს **პროექტის** განხორციელება;

10.2. შეინარჩუნოს **ელექტროსადგური ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების** ფარგლებში;

10.3. საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს **აუდიტორული დასკვნის** მომზადება და **სამინისტროსთვის** წარდგენა არაუგვიანეს **ელექტროსადგურის** ექსპლუატაციაში მიღებიდან 90 **დღის** ვადაში;

10.4. **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე **სამინისტროს** მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ინფორმაცია;

10.5. **პროექტის** განხორცილების უფლება არ გადასცეს მესამე პირს ან ნებისმიერი ფორმით არ დატვირთოს **მთავრობის** წინასაწარი თანხობის გარეშე. ამასთან, **კომპანია** პასუხისმგებელია **პროექტის** ფარგლებში აშენებული **ელექტროსადგურის** მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.

10.6. **მთავრობის** თანხმობის შემთხვევაში, **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში **პროექტის** განხორციელების უფლების გასხვისების შემთხვევაში, **პროექტის** განხორციელების უფლება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებულია ამ **ხელშეკრულებით.** ამასთან, **პროექტის** ნაწილობრივ გასხვისების შემთხვევაში, ახალი მესაკუთრე **კომპანიასთან** ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

11. **პროექტის** განხორციელების მიზნით, წინამდებარე **ხელშეკრულების** და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, **მთავრობა** თავისი კომპეტენციის ფარგლებში და იმ პირობით, რომ **კომპანია** სრულად დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით და ამ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ მოთხოვნებს, უზრუნველყოფს **პროექტის** განხორციელებისთვის საჭირო **სახელმწიფო** საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების **კომპანიისათვის** საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გადაცემას;

## ხელშეკრულების შეწყვეტა

12. **მთავრობა** უფლებამოსილია ცალმხრივად, **კომპანიისათვის** გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს **ხელშეკრულება** შემდეგ შემთხვევებში, თუ:

12.1. **კომპანიამ** განმეორებით ვერ შეასრულა **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულება, ან/და დაწესებულ ვადაში არ გადაიხადა პირგასამტეხლო

12.2. **კომპანიაზე** დაკისრებული პირგასამტეხლოების ჯამი შეადგენს **წინასამშენებლო გარანტიით** გათვალისწინებული მთლიანი თანხის 50%-ს;

12.3. **კომპანიაზე** დაკისრებული პირგასამტეხლოების ჯამი შეადგენს **სამშენებლო გარანტიით** გათვალისწინებული მთლიანი თანხის 50%-ს;

12.4. მშენებლობის შესახებ **კომპანიის** მიერ, მე-4 მუხლის შესაბამისად, **სამინისტროსთვის** წინადადება არ იქნა წარდგენილი;

12.5. **კომპანია** იყენებს **ხელშეკრულების** მე-5 მუხლით გათვალისწინებულ უფლებას;

12.6. **მთავრობის** მიერ **ხელშეკრულების** მე-6 მუხლის შესაბამისად დადებითი გადაწყვეტილების მიღების მიუხედავად, ამავე მუხლით დადგენილ ვადაში **კომპანიის** ბრალით ან/და **კომპანიის** მიერ ხელი არ მოეწერა **სამშენებლო ფაზის დაწყების შესახებ შეთანხმებას;**

12.7. **კომპანიამ** უარი თქვა **პროექტის** განხორციელებაზე, გარდა **ხელშეკრულების** მე-5 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა;

12.8. **კომპანიის** მიერ მოწოდებული ან/და **მთავრობის** მიერ მოპოვებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის საფუძველზე, ცნობილი გახდა, რომ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად აუცილებელი ქმედებები **კომპანიის** მიერ არ განხორციელებულა და აღნიშნული გრძელდება 60 (სამოცი) **დღეზე** მეტი ვადით;

12.9. ფორს-მაჟორი გრძელდება 180 (ას ოთხმოცი) **დღეზე** მეტი ვადით.

13. **მთავრობის** მიერ **ხელშეკრულების** შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:

13.1. **კომპანიას** **ხელშეკრულების** შეწყვეტისთანავე ჩამოერთმევა **პროექტის** განხორციელების უფლება;

13.2. **კომპანიის** ხელთ არსებულ **ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შესახებ ანგარიშსა** და შესაბამის გარემოზე ზემოქმედების შესახებ ანგარიშებზე, ისევე, როგორც **პროექტთან**

დაკავშირებულ, მათ შორის, **კომპანიის** მიერ შემუშავებულ, სხვა ნებისმიერ დოკუმენტსა და ნახაზზე ექსკლუზიური საკუთრების უფლება (მათ შორის, პროექტთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრება) უსასყიდლოდ გადაეცემა **მთავრობას, ხელშეკრულების** შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში;

13.3. **სახელმწიფოს** უსასყიდლოდ, **კომპანიისათვის** რაიმე ანაზღაურების ვალდებულების გარეშე, გადაეცემა შესაბამისი უფლებები (მათ შორის, საკუთრების უფლება) **პროექტზე, პროექტის** განხორციელებისთვის საჭირო ან/და მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე, ასევე პროექტის საფუძველზე შექმნილ ქონებაზე, რომლებიც გადაცემის მომენტისთვის უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო, **ხელშეკრულების** შეწყვეტიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში;

13.4. წინამდებარე **ხელშეკრულების** 12.9 პუნქტის შესაბამისად შეწყვეტის შემთხვევაში, **სამინისტრომ** უნდა დააბრუნოს **კომპანიის** მიერ **მთავრობისთვის** წარდგენილი **წინასამშენებლო გარანტია/სამშენებლო გარანტია** (გარანტიის დაბრუნების მომენტისათვის არსებული ოდენობით) **კომპანიის** მიერ **ხელშეკრულების** 13.2 და 13.3 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ.

14. **კომპანია** უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს **ხელშეკრულება მთავრობისთვის** გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, იმ შემთხვევებში, თუ:

14.1. **კომპანია** იყენებს **ხელშეკრულების** მე-5 მუხლით გათვალისწინებულ უფლებას. აღნიშნულის თაობაზე **კომპანიამ მთავრობას** უნდა გაუგზავნოს შეტყობინება ასეთი სახის შეწყვეტამდე 60 (სამოცი) დღით ადრე;

14.2. **მთავრობა** არსებითად დაარღვევს **ხელშეკრულებით** ნაკისრ ვალდებულებებს. ასეთ შემთხვევაში **კომპანია** ვალდებულია უზრუნველყოს **მთავრობისთვის** წერილობითი შეტყობინების გაგზავნა **ხელშეკრულების** შეწყვეტამდე 90 (ოთხმოცდაათი) დღით ადრე;

14.3. ფორს-მაჟორი გრძელდება 180 (ას ოთხმოცი) **დღეზე** მეტი ვადით.

15. **კომპანიის** მიერ **ხელშეკრულების** შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:

15.1. **კომპანიას ხელშეკრულების** შეწყვეტისთანავე ჩამოერთმევა **პროექტის** განხორციელების უფლება;

15.2. **კომპანიის** ხელთ არსებულ **ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შესახებ ანგარიშსა** და შესაბამის გარემოზე ზემოქმედების შესახებ ანგარიშებზე, ისევე, როგორც **პროექტთან** დაკავშირებულ, მათ შორის, **კომპანიის** მიერ შემუშავებულ, სხვა ნებისმიერ დოკუმენტსა და ნახაზზე ექსკლუზიური საკუთრების უფლება (მათ შორის, პროექტთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრება) უსასყიდლოდ გადაეცემა **მთავრობას, ხელშეკრულების** შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში;

15.3. **სახელმწიფოს** უსასყიდლოდ გადაეცემა შესაბამისი უფლებები (მათ შორის, საკუთრების უფლება) **პროექტის** განხორციელებისთვის საჭირო ან/და მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გადაცემის მომენტისთვის უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო, **ხელშეკრულების** შეწყვეტიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში;

15.4. წინამდებარე **ხელშეკრულების** 14.2 და 14.3 პუნქტების შესაბამისად შეწყვეტის შემთხვევაში, **სამინისტრომ** უნდა დააბრუნოს **კომპანიის** მიერ **მთავრობისთვის** წარდგენილი **წინასამშენებლო გარანტია/სამშენებლო გარანტია** (გარანტიის დაბრუნების მომენტისათვის არსებული ოდენობით) **კომპანიის** მიერ **ხელშეკრულების**

15.2 და 15.3 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ.

16. **კომპანიის** მიერ **ხელშეკრულების** 7.1 და 9.1 პუნქტებით დადგენილ ვადაში და პირობებით **წინასამშენებლო გარანტიის** ან **სამშენებლო გარანტიის** წარმოუდგენლობის შემთხვევაში, **ხელშეკრულება** ავტომატურად წყდება, რის თაობაზეც **სამინისტრო** აცნობებს **კომპანიას.**

17. **ხელშეკრულება** შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავის გადაწყვეტა

18. **ხელშეკრულება** დადებულია, რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

19. ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით, გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## ფორს-მაჟორი

20. **მხარე** თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, თუ ამგვარი შეუსრულებლობა გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული გარემოებით. **ხელშეკრულების** მიზნებისთვის ფორს-მაჟორულ გარემოებად ჩაითვლება გარემოება ან მოვლენა, რომელიც ცდება **მხარეთა** კონტროლის ფარგლებს და რომლის დადგომაც **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის, და რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სტიქიური უბედურებებით, გაფიცვებით, საბოტაჟით და სხვა სახის შეფერხებით, სამოქალაქო არეულობით, ომით, ან სხვა სამხედრო, ტერორისტული მოქმედებებით, ბლოკადით, აჯანყებით, მიწისძვრებით, ზვავებით ან სხვა მსგავსი მოვლენით, რომელიც არ ექვემდებარება იმ **მხარის** კონტროლს, რომელზეც ასეთი ფორს-მაჟორული მოვლენა ახდენს გავლენას და რომლის თავიდან აცილება ასეთ **მხარეს** არ შეეძლო.

21. **მხარე,** რომელიც ვერ ასრულებს მის ვალდებულებებს ფორს-მაჟორული გარემოების ან მოვლენის გამო, ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე **მხარეს** ხსენებული გარემოების და მოვლენის როგორც დადგომის, ასევე შეწყვეტის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, **მხარე** კარგავს უფლებას, მიუთითოს აღნიშნულ მოვლენებზე და გარემოებებზე, როგორც **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველზე. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს მოვლენის ან გარემოების აღწერა და მათი ზეგავლენა ამ **მხარის** მიერ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე, ისევე, როგორც ასეთი ვალდებულებების შესრულების დაგვიანების მოსალოდნელი ვადა.

22. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის და მათი დადასტურების შემთხვევაში, **მხარის** მიერ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ხანგრძლივობის შესაბამისად.

23. ვადის ათვლა განახლდება იმ ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების შეწყვეტის დღიდან, რომელიც წარმოადგენდა **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეჩერების საფუძველს. ვადის დარჩენილი ნაწილი გადაიწევს შეჩერების ხანგრძლივობის შესაბამისად.

**დამატებითი დებულებები**

24. წინამდებარე **ხელშეკრულება** ძალაში შედის **მხარეთა** მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **მხარეთა** ვალდებულებების სრულად ამოწურვამდე.

25. წინამდებარე **ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად.

**ხელმოწერები:**

**საქართველოს მთავრობა**

__________________________________________

ლევან დავითაშვილი

**შპს „იუნაითიდ ფაუერ ენერჯი“**

__________________________________________

ნანა ყეინიშვილი

დანართი N1

## ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრები

| დასახელება | ადგილმდებარეობა | მდინარის ნიშნულები<br>მეტრი ზღვის დონიდან | | წლიური გამომუშავება<br>მლნ. კვტ. სთ | სიმძლავრე<br>მგვტ |
|---|---|---|---|---|---|
| „დევაში ჰესის“ | რაჭა-ლეჩხუმი ქვემოს სვანეთის რეგიონის ლენტეხის მუნიციპალიტეტი, მდინარე დევაში | 995,00 | 745,00 | 28 | 5,45 |

დანართი N2

| ჰიდროელექტროსადგურის დასახელება: ,,დევაში ჰესის“ | ხელშეკრულების ხელმოწერიდან თვე 3 | ხელშეკრულების ხელმოწერიდან თვე 6 | ხელშეკრულების ხელმოწერიდან თვე 9 | ხელშეკრულების ხელმოწერიდან თვე 12 | ხელშეკრულების ხელმოწერიდან თვე 15 |
|---|---|---|---|---|---|
| ადგილმდებარეობისა და ძირითადი პარამეტრების განმარტებები | ● | | | | |
| ტოპოგრაფიული კვლევა და რუკების მომზადება | ● | | | | |
| გეოლოგია, გეოფიზიკა | | ● | | | |
| სეისმური რისკის ანალიზი | | ● | | | |
| სამშენებლო მასალების კვლევა | | | ● | | |
| მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევები | ● | | | | |
| ჰიდრავლიკური კვლევები | | | ● | | |
| ალტერნატიული ანალიზი | | | ● | | |
| ტექნიკური დიზაინი | | | ● | | |
| ინფრასტრუქტურა | | ● | | | |
| ელექტროენერგიის გენერაცია და გამოყენება | | | ● | | |
| პირველადი ელ სქემა, ქსელთან მიერთება და გადამცემი ხაზი | | | ● | | |
| პროექტის ხარჯთაღრიცხვა და ეკონომიკური ანალიზი | | | | ● | |
| მშენებლობის ორგანიზირება | | | | ● | |
| შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელების გეგმა | | | | ● | |
| სამუშაო ძალის დატრენინგების გრაფიკი | | | ● | | |
| ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დასრულება და წარდგენა | | | | | ● |
| *გარემოზე ზემოქმედების და სოციალური რისკების შეფასების ანგარიშის მომზადება და წარდგენა* | | | | | ● |
| *გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების აქტის წარდგენა* | | | | | ● |
| პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობის დადგენა | | | | | ● |
| პროექტის განხორციელების თაობაზე ფინანსური მოდელის წარდგენა | | | | | ● |
| ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე წინადადების წარდგენა | | | | | ● |

დანართი N3

### სამშენებლო ფაზის გრაფიკი

| **ელექტროსადგურის დასახელება:**<br>**„დევაში ჰესის“** | **თვეების რაოდენობა**<br>სამშენებლო ფაზის დაწყების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის დღიდან |
|---|---|
| მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყება | 12 |
| ექსპლუატაციაში მიღება | 42 |